



**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030147731048219

№ 01-245/ო

29 / ივლისი / 2019 წ.

**„ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის
სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა
შესახებ**

„2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის № 693 დადგენილების N21 დანართის (ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №693 დადგენილების N21 დანართით გათვალისწინებული - ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) ფარგლებში შესასყიდი მედიკამენტების ჩამონათვალი განისაზღვროს შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

ცხრილი 1* - მედიკამენტების სია

№	მედიკამენტი	საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება	ფორმა	დოზა
1	ენალაპრილი	Enalapril (as Enalapril Maleate)	ტაბლეტი	20 მგ 10 მგ
2	ლოსარტანი	Losartan (as Losartan Potassium)	ტაბლეტი	100 მგ
3	ამლოდიპინი	Amlodipine (as Amlodipine Besilate)	ტაბლეტი	5 მგ
4	მეტოპროლოლი	Metoprolol (as Metoprolol Tartrate)	ტაბლეტი	100 მგ
5	ამიოდარონი	Amiodarone (as Amiodarone Hydrochloride)	ტაბლეტი	200 მგ
6	იზოსორბიდის მონონიტრატი	Isosorbide Mononitrate	ტაბლეტი	40 მგ
7	ვარფარინი	Warfarin (as Warfarin Sodium)	ტაბლეტი	2,5 მგ
8	კლოპიდოგრელი	Clopidogrel (as Clopidogrel Hydrogen Sulphate)	ტაბლეტი	75 მგ
9	დიგოქსინი	Digoxine	ტაბლეტი	0,25 მგ
10	ფუროსემიდი	Furosemide	ტაბლეტი	40 მგ
11	სპირონოლაქტონი	Spiroglactone	ტაბლეტი	25 მგ
12	ატორვასტატინი	Atorvastatin (as Atorvastatin Calcium)	ტაბლეტი	10 მგ 20 მგ 40 მგ
13	მეტფორმინი	Metformin (as Metformin Hydrochloride)	ტაბლეტი	1000 მგ
14	გლიკლაზიდი	Gliclazide	ტაბლეტი	60 მგ

15	გლიმპერიდი	Glimepiride	ტაბლეტი	2 მგ
16	თიამაზოლი	Thiamazole	ტაბლეტი	5 მგ
17	ლევოთიროქსინი	Levothyroxine Sodium	ტაბლეტი	50 მკგ
18	ბუდესონიდი	Budesonide	დოზირებული სანებულიზაციო ხსნარი ერთჯერად კონტეინერში	0,5მგ/2 მლ
19	სალმეტეროლი/ფლუტიკაზონი	comb. drug (Salmeterol Xinafoate/ Fluticasone Propionate)	საინჰალაციო ფხვნილი	50მკგ/250მკგ 50მკგ/500მკგ
20	სალბუტამოლი	Salbutamol (as Salbutamol Sulphate)	საინჰალაციო აეროზოლი	100 მკგ/დოზა
21	აკლიდინიუმის ბრომიდი	Aclidinium Bromide	საინჰალაციო ფხვნილი (კაფსულა) ინჰალატორთან ერთად	322 მკგ/დოზა
22	მეთილპრედნიზოლონი	Methylprednisolone	ტაბლეტი	16 მგ
23	პერინდოპრილ/ამლოდიპინი	Perindopril/Amlodipin	ტაბლეტი	4მგ/5მგ ან 5მგ/5მგ 8მგ/10მგ ან 10მგ/10მგ
24	პერინდოპრილ/ინდაპამიდი	Perindopril/Indapamide	ტაბლეტი	4მგ/1.25მგ
25	ლოსარტან+ჰიდროქლოროთიაზიდი	Losartan/Hydrochlorothiazide	ტაბლეტი	50მგ/12.5მგ
26	ბისოპროლოლი	Bisoprolol	ტაბლეტი	5მგ
27	ნებივოლოლი	Nebivolol	ტაბლეტი	5მგ
28	ჰიდროქლოროთიაზიდი	Hydrochlorothiazide	ტაბლეტი	25მგ
29	აცეტილსალიცილის მჟავა+მაგნიუმის ჰიდროქსიდი	<u>Magnesium hydroxide, Acetylsalicylic acid</u>	ტაბლეტი	75მგ 150მგ
30	კარბიდოპა, ლევოდოპა	<u>Carbidopa, Levodopa</u>	ტაბლეტი	250მგ/25მგ
31	ბენსერაზიდის ჰიდროქლორიდი, ლევოდოპა	<u>Benserazide, Levodopa</u>	ტაბლეტი	125მგ/25მგ
32	ლევეტირაცემი	Levetiracetam	ტაბლეტი	500მგ
33	კარბამაზეპინი	Carbamazepine	ტაბლეტი	200მგ
34	ნატრიუმის ვალპროატი	Valproate Sodium	ტაბლეტი	500მგ 300მგ
35	ლამოტრიჯინი	Lamotrigine	ტაბლეტი	100მგ 25მგ

***მოცემული ცხრილიდან მედიკამენტის ამოღების/დოზის ცვლილების შემთხვევაში, უკვე შესყიდული მედიკამენტები პროგრამის ფარგლებში გაიცემა ამ ბრძანებით დადგენილი წესით შესაბამისი მარაგის ამონურგამდე, თუ ამ ბრძანებით სხვა, დამატებითი პირობა არ არის განსაზღვრული.**

2. პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოსარგებლებისათვის (პირი, რომელიც რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მასზე მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს და საპენსიო ასაკის მოსახლეობა (ქალი - 60 წლიდან, მამაკაცი - 65 წლიდან), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი, აგრეთვე მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი)) ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტის მიწოდება ხორციელდება პროგრამის მე-4 მუხლის (დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი) პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოსარგებლეებისათვის (პარკინსონით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები და ეპილეფსიით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები) განისაზღვროს თანაგადახდის ოდენობა, არაუმეტეს მედიკამენტების საბაზრო ღირებულების 25%-ის ოდენობით. ამასთან, თუ პროგრამის ფარგლებში შესყიდული მედიკამენტის სატენდერო ღირებულება ნაკლებია საბაზრო ღირებულების 25%-ზე, მოსარგებლეებისათვის მედიკამენტი გაიცეს არაუმეტეს სატენდერო ფასად.

4. პროგრამის ფარგლებში შესყიდული მედიკამენტებისთვის, ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოსარგებლებზე გასაცემი მედიკამენტის ღირებულება განისაზღვროს შემდეგი წესით:

ა) 2019 წლის პროგრამის ფარგლებში, მედიკამენტის საბაზრო ღირებულებად, პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დადგინდეს 2018 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით საქართველოს ბაზარზე დაფიქსირებული საცალო ფასი;

ბ) საცალო ფასების მოძიებას ახორციელებს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“) ელექტრონულად, სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური ვებ.გვერდის (www.procurement.gov.ge) მეშვეობით - განცხადება ფასთა მოძიების (გამოკითხვის) შესახებ, იტვირთება აღნიშნული ვებ.გვერდის შესაბამის ველში;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ფარგლებში საცალო ფასების მოძიების ვადად განისაზღვროს არაუმეტეს 3 დღე, განცხადების ატვირთვის დღიდან;

დ) საცალო ფასის მოძიება ხორციელდება მხოლოდ პროგრამის ფარგლებში შესყიდული კონკრეტული სავაჭრო (ე. წ. „ბრენდული“) დასახელების ფარმაცევტულ პროდუქტზე;

ე) ახალი მედიკამენტის შესყიდვისას ან უკვე შესყიდული მედიკამენტების ჯენერიკების ფარგლებში სხვა ბრენდული დასახელების მედიკამენტის შესყიდვისას, მედიკამენტის საცალო ფასების მოძიება ხორციელდება ამ პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად;

ვ) ამ პუნქტის შესაბამისად მოძიებულ საცალო ფასებს შორის დაფიქსირებული მინიმალური ფასი მიიჩნევა კონკრეტული მედიკამენტის საბაზრო ღირებულებად;

ზ) იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება საცალო ფასის მოძიება, საბაზრო ღირებულებად განისაზღვრება პროგრამის ფარგლებში შესყიდული მედიკამენტის სატენდერო ღირებულება.


5. ამ ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით, პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოსარგებლეებისათვის გათვალისწინებული მედიკამენტების თანაგადახდის ოდენობა განისაზღვროს N1 დანართის შესაბამისად.

6. დაევალოს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს - უზრუნველყოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული საჭირო ღონისძიებების გატარება.

7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 22 აგვისტოს N01-73/ო ბრძანება.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი



ეკატერინე ტიკარაძე

დანართი N1

N	მედიკამენტის საერთაშორისო არაპატენტური დასახელება	სავაჭრო დასახელება	ქვეყანა	მწარმოებელი	პროგრამის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოსარგებლებებისთვის გათვალისწინებული თანაგადახდის ოდენობა/გასხვისების ფასი (ერთეულის ღირებულება-ლარი) 25%
1	ლევოდოპა, კარბიდოპა 250მგ/25მგ	ნაკომი	სლოვენია	LEK	0.14
2	ლევოდოპა+ბენსერაზიდის ჰიდროქლორიდი 100მგ/25მგ	მადოპარი	იტალია	როშე სპა	0.12
3	ლამოტრიჯინი 25მგ	LAMICTAL 25მგ ტაბლეტი	პოლონეთი	გლაქსოსმიტკლაინ ფარმაცეუტიკალს ს.ა.	0.10
4	ლამოტრიჯინი 100მგ	ლამოტრიქსი	კვიპროსი	Medochemie	0.27
5	ნატრიუმის ვალპროატი 300მგ	Depakine Chrono	საფრანგეთი	Sanofi-Aventis Private Co. Ltd	0.06
6	ნატრიუმის ვალპროატი 500მგ	Depakine Chrono	საფრანგეთი	Sanofi-Aventis Private Co. Ltd	0.10
7	კარბამაზეპინი 200მგ	ნეიროლეფსინი	საქართველო	შპს „GMP“	0.05
8	ლევეტირაცეტამი 500მგ	ლევეტირაცეტამი აკორდი	დიდი ბრიტანეთი	Accord Healthcare Limited	0.18